



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის მიხედვით 2025 წლის I კვარტალში საქართველოს რეალური მშპ 9.8%-ით გაიზარდა, რაც 0.5პპ-ით მეტია წინასწარ მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული კორექციის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკა 2025 წლის პირველ 4 თვეში 9.1%-ით გაიზარდა.

სექტორულ ჭრილში, პირველი კვარტლის წლიურ ზრდაში მალალი დადებითი კონტრიბუცია შეიტანეს შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია (+28.6%), განათლება (+27.7%), უძრავი ქონება (+12.9%), სახელმწიფო მმართველობა (+11.0%), ვაჭრობა (+6.1%), ჯანდაცვა (+17.9%), ტრანსპორტი (+9.5%) და საფინანსო საქმიანობა (+8.7%). ამასთან, აღნიშნულ პერიოდში წლიური კლება დაფიქსირდა ელექტროენერგიის მიწოდების (-5.1%) და სოფლის მეურნეობის (-4.6%) დარგებში.

ხელფასები: საქსტატის მიხედვით, 2025 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წლიურად 11.7%-ით გაიზარდა და 2,170 ლარი შეადგინა, წინა კვარტალში დაფიქსირებული წლიური 8.5%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში, რეალური ხელფასი 8.8%-ით გაიზარდა.

სექტორების მიხედვით, 2025 წლის I კვარტალში ყველაზე მალალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა (5,515 ლარი, +22.0% წ/წ), ინფორმაცია და კომუნიკაცია (4,163 ლარი, +5.2% წ/წ), პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობები (2,976 ლარი, +11.3% წ/წ), მშენებლობა (2,909 ლარი, +10.8% წ/წ) და სამთომოპოვებითი მრეწველობა (2,889 ლარი, +36.6% წ/წ). ამასთან, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე დაბალი საშუალო თვიური ხელფასი ტრადიციულად ფიქსირდება განათლების (1,341 ლარი, +19.1% წ/წ), წყალმომარაგების (1,368 ლარი, +10.6% წ/წ) და სოფლის მეურნეობის (1,474 ლარი, +11.8% წ/წ) დარგებში.

მონეტარული პოლიტიკა: სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2025 წლის 18 ივნისს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 8.0%-ზე დატოვა, რაც ასახავს ფრთხილ მიდგომას არაერთგვაროვანი ინფლაციური გარემოს პირობებში. სებ-ის შეფასებით, მთლიანი ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს რჩება, ხოლო საბაზო და მომსახურების სექტორის ინფლაცია 3.0%-ზე დაბალია და ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს. რეგულატორის განმარტებით, ინფლაციაზე ძირითადი ზეწოლა სურსათის გაძვირებას უკავშირდება, თუმცა ამ ეფექტს ნაწილობრივ აბალანსებს იმპორტირებული პროდუქციის დეფლაცია. სებ-ის პროგნოზით, 2025 წელს ინფლაცია დროებით გადააჭარბებს მიზნობრივ მაჩვენებელს და საშუალოვადიან პერიოდში 3.0%-ის გარშემო დასტაბილურდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2025 წლის 30 ივლისს ჩატარდება.

ფულადი გზავნილები: სებ-ის მიხედვით, 2025 წლის მაისში ფულადი გზავნილები წლიურად 11.6%-ით გაიზარდა და 317.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 6.1%-იანი ზრდის შემდეგ. აღნიშნული ზრდა ძირითადად განაპირობა გზავნილების გადმორიცხვამ ევროკავშირიდან (+16.4% წ/წ), აშშ-დან (+25.2% წ/წ) და ყირგიზეთიდან (+70.7% წ/წ).

ჯამურად, 2025 წლის იანვარ-მაისში ფულადი გზავნილები წლიურად 1.8%-ით გაიზარდა და 1.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2024	2025F
რეალური მშპ-ს ზრდა	9.4%	6.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	28,258	31,601
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	9,141	9,836
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია (საშუალო)	1.1%	3.7%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.4	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.4%	5.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.4%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	36.1%	34.7%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გაღიგთაგარტი


*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

ნომინალური მშპ და რეალური ზრდა



წყარო: საქსტატი

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი



წყარო: საქსტატი



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2025 წლის 17 ივნისს 7.5-წლიანი 50 მლნ ლარის (18.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.7-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.169პპ-ით გაიზარდა და 9.629% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2025 წლის 24 ივნისს, სადაც 4.8-წლიანი 60 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2025 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	ვალის ნაშთი მლნ ლარი*
1 წლამდე	330	240	450
1 წელზე მეტი	1,097	1,300	9,777
სულ	1,427	1,540	10,227


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2025 წლის მაისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეგ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეგ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეგ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეგ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	97.38	6.04	192.11
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/	90.08	7.79	417.56
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/B2	99.71	9.59	596.78
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	101.31	7.49	183.92
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/	98.28	10.06	624.77
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/B2	99.63	10.36	674.31
CGEOLN 07/29	USD	300	8.875%	Jul-24	Jul-29	BB-/BB-/	103.09	7.97	410.00

გალტი & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	100.00	7.00%
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	99.99	9.00%
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.08	8.13%
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	100.91	8.63%
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.63	8.75%
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.61	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/BB-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	3.3	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/BB-	n/a	8.63%
IG Development	USD	19.5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	5	8.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-	n/a	8.75%
JSC BasisBank	USD	20	7.00%	Aug-24	Aug-27	-/-/-	n/a	7.00%
Georgia Real Estate	USD	25	8.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-	n/a	8.50%
Chavchavadze 64B	USD	10	8.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-	n/a	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.25%	Dec-24	Dec-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	17.7	8.50%	Apr-25	Apr-27	-/-/-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10.0	8.00%	Apr-25	Apr-27	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10.0	8.00%	Apr-25	Apr-27	-/-/BB-	n/a	n/a

გალტი & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტი & ტაგარტი



ობლიგაციები

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/ Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
EUR								
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	99.63	7.25%
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	100.37	6.15%
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/-/-	99.60	6.15%
Tegeta Motors	EUR	10	6.75%	May-24	May-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	EUR	3	7.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	7.75%
Silk Real Estate	EUR	7	7.00%	Aug-24	Aug-25	-/-/-/-	n/a	7.00%
Chavchavadze 64B	EUR	3	7.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	7.75%
GEL								
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-/BB-	100.00	11.58%
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-/B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB/-/-/-	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB/-/-/-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-26	-/-/-/BB-	100.00	12.33%
Tegeta Motors	GEL	10	13.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	15	13.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-/BB-	100.00	13.50%
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.25%	Oct-24	Oct-29	-/-/-/BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.25%	Dec-24	Dec-26	-/-/-/B+	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.00%	Apr-25	Apr-27	-/-/-/B+	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მეწევერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი



ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg


ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი

საჯარო

ადგილობრივი კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით



წყარო: გალატ & თაგარტი




წყარო: გალატ & თაგარტი



აქციები


Lion Finance Group (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

Lion Finance Group-ის (BGEO LN) აქციები დაიხურა 66.15 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.15% წინა კვირასთან შედარებით და +2.16% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 414 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 65.30 - 67.10 ღიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 45 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 44.15 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.34% წინა კვირასთან შედარებით და -1.23% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 417 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 43.45 - 45.65 ღიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 64 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 18.14 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.16% წინა კვირასთან შედარებით და -2.79% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 245 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 17.94 - 19.18 ღიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 44 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	Δ თვე,	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2023	2024	2025F	2023	2024	2025F
Lion Finance Group	BGEO	GBP	66.15	2,940	41.3%	65.6%	40.4%	4.36x	2.92x	5.45x	1.25x	1.02x	1.40x
TBC	TBC	GBP	44.15	2,487	42.6%	77.0%	41.5%	4.68x	4.80x	6.30x	1.15x	1.12x	na
Halyk Bank	HSBK	USD	23.60	6,434	29.5%	36.9%	21.4%	2.57x	na	3.22x	0.72x	na	na
Akbank	AKBNK	TRY	57.20	297,440	-5.8%	-10.3%	-11.8%	2.86x	7.96x	4.25x	0.9x	1.4x	0.98x
Garanti	GARAN	TRY	115.30	484,260	-8.1%	4.1%	-7.3%	2.84x	5.73x	4.32x	1.00x	1.58x	1.13x
Isbank	ISCTR	TRY	11.41	285,250	-13.2%	-31.7%	-15.7%	3.23x	7.43x	2.95x	0.87x	1.06x	0.71x
PKO	PKO	PLN	70.52	88,150	18.2%	15.0%	18.0%	11.44x	na	7.10x	1.39x	na	1.41x
PEKAO	PEO	PLN	175.60	46,090	26.6%	7.7%	27.3%	5.99x	5.68x	6.81x	1.31x	1.13x	1.36x
Millennium	MIL	PLN	13.63	16,535	59.6%	62.7%	53.1%	17.78x	15.08x	7.29x	1.47x	1.39x	1.89x
Mbank	MBK	PLN	753.00	32,000	37.7%	22.9%	37.6%	na	10.36x	6.81x	1.65x	1.31x	1.65x
BRD	BRD	RON	19.60	13,659	3.7%	-1.9%	5.2%	7.62x	8.52x	9.02x	1.42x	1.38x	1.31x
Banca Transilvania	TLV	RON	31.40	28,790	18.9%	12.8%	16.3%	6.69x	4.86x	7.54x	1.46x	na	1.64x
Komerční	KOMB	CZK	1,006.00	191,190	18.6%	29.9%	18.6%	8.76x	9.29x	11.42x	1.09x	1.27x	1.51x
Mean								6.57x	7.51x	6.35x	1.21x	1.27x	1.36x
Median								5.34x	7.43x	6.81x	1.25x	1.29x	1.40x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოსაჩენი ან ნაგულისხმების, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობით. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოსაჩენი ან ნაგულისხმები ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოსაჩენი ან ნაგულისხმების, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)